


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 44 ოქტომბერი 19 1897 წ. № 44

შინაარსი: უნივერსიტეტი თუ პოლიტეხნიკუმი გ. წერეთლისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — მგზავრის შენიშვნები (გაგრძელება) ფ. ფაცრიშვილისა. — მოციქული პავლე — „კვალის“ კორესპონდენციები. — ნანა, ლექსი ევდოშვილისა. — „მშვიდობა შენდა“, მოთხრობა ბაკოსი. — ხან-და-ხან (დასასრული) ჭალარასი. — ცულლუზა და მისი წერილი ს. წაქაძესი.

## უნივერსიტეტი, თუ პოლიტეხნიკუმი?

Დიდი ხანია, რაც კავკასია დაიძრა გონების გასავითარებლად. ყოველ წლობით თითოეულ საშუალო სასწავლებელში მიაწყდება ხოლმე მრავალი სამოწაფო ახალგაზდობა გამოსაცდელათ, მაგრამ ასობით ბრუნდება ხოლმე უკან თვალცრემლიანი ისე, რომ სასწავლებელს ვერ ეღირსება. სხვა უფრო დასაბუთებული მიზეზები, რომ იქით გადავდევათ უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის, მარტო ეს გარემოებაც კმარა იმის დასამტკიცებლათ, რომ მეტათ საჭიროა საჩქაროთ დაარსდეს კავკასიაში რომელიმე ტიპის უმაღლესი სასწავლებელი, რადგან დაარსება ასეთი უმაღლესი სასწავლებლისა სხვათა შორის თავისთავათაც ხელს შეუწყობს დაბალი დ საშუალო სასწავლებლების გამრავლებას. რაკი უმაღლესი სასწავლებელი დაარსდება ჩვენს ქვეყანაში, ამას იმის ზრუნვაც მოჰყვება, რომ, რაც შეიძლება, ბევრი ღიმნაზიები დაკეთდენ, რადგან თვით უმაღლესი სასწავლებელი მოითხოვს ამას. ხოლო ბევრ ღიმნაზიებს დაბალი ტიპის სკოლების გამრავლებაც ხომ თან მოჰყვება. ერთი სიტყვით უმაღლესი სასწავლებელი ის განათლების საწოვარი მილია, რომელიც თან აითრევს მრავალი სკოლების მიუცილებელ არსებობას და ეს გარემოება კი თან-და-თან დააოკებს მოჭარბებულს წყურვილს ჩვენი ხალხისას განათლება-განვითარებისადმი. ჩვენი ერის ასეთი წყურვილი გონების განვითარებისა ახალი ამბავი არ არის.

ამ გარემოებამ, კარგა ხანია, იჩინა თავი ჩვენ ქვეყანაში. ეს იყო მიზეზი, რომ 1872 წელს, სულკურთხეულის ალექსანდრე მეორის კავკასიაში მობძანების წინათ მაშინდელმა თფილისის ინტელიგენციამ აღძრა კითხვა იმის შესახებ, თუ როგორი ტიპის უმაღლესი სასწავლებელი ვთხოვოთო ხელმწიფე იმპერატორს ამიერ კავკასიაში განათლების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. იმდროს ქართული გამოცემების, „დროება-კრებულის“, თანამშრომელებმა ითავეს ეს საქმე, აღძრეს საზოგადოებაში ბაასი და მაშინდელი განათლებული სახელმწიფო მოხელეებიც (ესრეთ წოდებული მუნებური ჩინოვნიკობაც) დაძრეს ამ საქმისათვის. მოხდა ჩვენ თავად-აზნაურობაში კრება, სადაც დიდი მჭევრმეტყველებით ილაპარაკეს სხვათაშორის იმდროს აქ ყოფილმა გამოჩენილმა მეცნიერ-მკურნალმა თ. ი. თარხნიშვილმა, ნ. ნიკოლაძემ და სხვებმა. თვით „დროებაში“ და „კრებულში“

სწავლებლის საჭიროების შესახებ. „დროება-კრებულის“ თანამშრომელებმა მაშინ ორი კითხვა წამოაყენეს, საჭიროა ეთხოვოთო ხელმწიფე იმპერატორს: 1) ერობის შემოღება კავკასიაში და 2) თფილისში უნივერსიტეტის დაარსებაო. ამასთანავე „კრებულში“ დაისტამბა როგორც ერობის შესახებ, ისე მომავალ კავკასიის უნივერსიტეტზედაც, საკმაოთ დასაბუთებული სტატიები. რომ ამ სტატიებს ჩვენ საზოგადოებაზე საკმაო გავლენა მოეხდინა, „დროება-კრებულის“ რედაქციებმა ცალკე წიგნაკებათაც გამოსცეს ეს სტატიები და უფასოთ დაარიგეს საზოგადოებაში.

მაგრამ ჩვენმა „ჩინოვნიკობამ“ მაშინ, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით შეხედა „დროება-კრებულის“ თანამშრომლების მოქმედებას და ამისგამო საზოგადოება გაიყო ორ ბანაკათ: ძველი და ახალი თაობა. ძველმა თაობამ, რომელსაც შეადგენდა მოჩინოვნიკე თავად-აზნაურობა, უნივერსიტეტს კორპუსის დაარსება ამჯობინა და, რადგან ძალა მაშინ მის ხელში იყო, თავისი აზრი კიდეც მოიყვანა სისრულეში. „დროება-კრებულის“ თანამშრომლები ამით არ დაკმაყოფილდენ და შემდეგ, როდესაც იმათთან ერთათ დაიწყო პ. იზმაილოვმაც მოქმედება ქალაქის საბჭოში, ნ. ნიკოლაძემ და პ. იზმაილოვმა, როგორც ხმოსნებმა, გაატარეს საბჭოში აზრი მომავალი უნივერსიტეტის დაარსებისა კავკასიაში და ამის გულისთვის თფილისის საბჭოს იმდროიდან გადაადებინეს ორმოცდაათი-ათასი მანათი თავენი. თფილისის საბჭოს მაგალითს თანაგრძნობით შეხვდა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკიც, რომელმაც საზოგადო კრებაში პროტოკოლი დაადგინა: „უკეთუ კავკასიაში უნივერსიტეტი დაარსდება, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი მოვალე იქნება ორმოცი ათასი მანათი შეწიროსო“. მას აქეთ ეს საქმე მიყუჩდა. თფილისის საბჭომ ორმოცდა-ათი ათასი მანათი მაინც გადადვა. იგი დღესაც ასარგებლებს ამ საუნივერსიტეტო კაპიტალს თავის ლომბარდში, გარდა იმისა, რომ ორასი დესეტინა მიწაც მზათ აქვს უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის.

ამ ჟამათ ჩვენ არ შეგვიძლია, არ ვუსაყვედუროთ თ. გ. თუმანიშვილს, როგორც ყოფილს ხმოსანს მეოთხმოცე წლებში და მაშინ დიდს თანამგრძნობელს, „დროება-კრებულის“ თანამშრომელებთან ერთათ, უნივერსიტეტის დაარსებისას, რომ იგი ამ ჟამათ გადაუდგა თავის აზრს უნივერსიტეტის დაარსების შესახებ და უპირატესობა მისცა პოლიტეხნიკუმის დაარსებას თფილისში.

ახლა შევუდგეთ იმის განხილვას, თუ რომელი უმაღლესი სასწავლებელი უფრო საჭიროა ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის: პოლიტეხნიკუმი, თუ უნივერსიტეტი?

ამ კითხვის დასაბუთებული პასუხი აგრე ადვილი არ არის, როგორც ჩვენ პუბლიცისტებს ჰგონიათ, რომელნიც თანამედროვე სატახტო პუბლიცისტიკის გავლენას ქვეშ იმყოფებიან და რასაც ყურს მოჰკრავენ, ისე დაიწყებენ სჯას, რადგან თვით საკმაო მომზადება და ჩვენი ქვეყნის გარემოების ზედმიწევნით ცოდნა არა აქვთ.

საქმე იმაშია, რომ ასეთი მძიმე კითხვის გადასაწყვეტათ, როგორც რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის დაარსება არის, პირველათ უნდა მივმართოთ ისტორიას იმ განვითარებულ ერებისას, რომელთ შორის დაარსებულა ასეთი სასწავლებლები და მივაქციოთ ყურადღება, თუ როგორი გონებრივი განვითარების მოთხოვნილებას გამოუწვევია იმათი დაარსება, ან როგორი მდგომარეობა ყოფილა ქვეყნისა, რომელსაც გამოუწვევია ასეთი, თუ ისეთი ტიპის სასწავლებლის დაარსება.

ევროპაში უმაღლეს სასწავლებელთ შორის ყველაზე უფრო ადრე დაარსდა უნივერსიტეტი. უძველეს უნივერსიტეტათ ითვლება ბოლონიის უნივერსიტეტი, რომლის დამაარსებლათ ისტორია ასახელებს ბიზანტიის იმპერატორს თეოდოსი მცირეს, 425 წ. ქ. შ. ეს უნივერსიტეტი აყვავდა განსაკუთრებით მეთერთმეტე საუკუნეში; იმის საშუალებით ძველი კლასიკური მეცნიერება ელლინურ-რომაული გავრცელდა ევროპაში და მისი შეოხებით ახალი გონებრივი განვითარების შუქი მოეფინა ევროპას. იმ დროს ევროპაში ტეხნიკური განვითარება პირველ საფეხურზე იდგა და იყო სრულიად დამოკიდებული მეცნიერების განვითარებაზე დ კაცობრიობის მეცნიერების განვითარების პირმშო წყარო კი უნივერსიტეტი იყო. ყოველი ნაბიჯი მეცნიერებისა, ანუ კაცობრიობის გონების განვითარებისა, თვით ტეხნიკურ ცოდნასაც ძეხდა ახალ საშუალებას აღორძინებისას: ახალი მანქანების (მაშინების) მოგონება, ტეხნოლოგიის, ანუ სამრეწველო ცოდნა-სწავლის გადიდება, სამრეწველო ქიმიის განვითარება, სამეურნეო ცოდნის თან-და-თან ზრდა, სამთო-სამადნო მრეწველობის გაუმჯობესობა—სულ ესენი დამოკიდებული იყო თეორიულ მეცნიერების განვითარებაზე. როდესაც კაცობრიობის მეცნიერებამ ბუნების კანონები შეისწავლა და ბუნების ძალების საკეთილდღეოთ მოხმარებაში გაიწაფა, მხოლოთ შემდეგ ამისა იყო შესაძლებელი ტეხნიკური ცოდნის გადიდება, ყოველნაირი სამრეწველო დარგის განვითარება. მაშინ როდესაც უნივერსიტეტი, ეს გონების განვითარების კერა, მეხუთე საუკუნიდან არსებობს, პოლიტეხნიკუმის და-

არსება შესაძლებელი შეიქნა ევროპაში მარტო მეთვრამეტე საუკუნის გასულს. ამ სახით კაცობრიობის ისტორიულ წინმსვლელობას რომ თვალი გადავავლოთ, უნივერსიტეტი ყოველგან რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებდა პოლიტეხნიკუმის დაარსებას. უნივერსიტეტის მიერ დაგროვებული მეცნიერება ასაზრდოებდა სამრეწველო დარგების განვითარებას, ესე იგი მეცნიერულ მასალას აძლევდა პოლიტეხნიკუმის არსებობას.

მაშ ისტორიულათ რომ შევხედოთ ამ საქმეს, ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის მიუცილებლათ უფრო საჭიროა უნივერსიტეტის დაარსება, ვიდრე პოლიტეხნიკუმისა. ჯერ უმაღლესათ განვითარებული ერის თაობა უნდა გაუჩნდეს კავკასიას, რომ იგი არსებითათ მომზადებული იყოს სპეციალურ ტეხნიკური სწავლა-მეცნიერების ზედმიწევნით შეთვისებისათვის.

ახლა განვიხილოთ, თუ თვით ევროპაში რომელი გვარის სასწავლებლები უფრო აწარმოებენ და ხელს უწყობენ მთელს ახლანდელ ევროპის სამრეწველო წარმოებას: პოლიტეხნიკუმები, თუ საშუალო ტეხნიკური სასწავლებლები? მთელი ევროპის წარმოება ტეხნიკის მცოდნე ხელოსნების და მუშების მხრებზეა დამყარებული, ხოლო ასეთი ტეხნიკის მცოდნე ხელოსნები და მუშები პოლიტეხნიკუმებში კი არ იზრდებიან, არამედ საშუალო ტეხნიკურ სასწავლებლებში. პოლიტეხნიკუმი მხოლოთ მდიდრების შვილებისთვის არის გაძართული, საიდანაც გამოდიან სპეციალისტი ინჟენრები და ტეხნოლოგები, ან აგრონომები, რომელთაც თავის სწავლასთან საკმაო კაპიტალებიც რჩებათ სამკვიდროთ თავიანთ შეძლებულ ბურჟუა-დედმამებისგან და ისინი მერე საკუთარ ფაბრიკებს მართვენ და ზედამხედველობენ. ჩვენისთანა ღარიბ ხალხში ინჟენერი, ტეხნოლოგი, ანუ აგრონომი, თუ არ მთავრობის სამსახურში, ისე ვერ ხეირობს; ის თუ სახელმწიფო სამსახურში არ არის, ქვეყნისთვის მეტ ბარგათ ჰხდება, რადგან ის უფრო თეორეტიკია და პრაქტიკული ტეხნიკური სწავლა კი არა აქვს. თუ რა უნუგეშო მდგომარეობაში არიან ის ტეხნოლოგები, ინჟენრები და აგრონომები, რომელთაც სახელმწიფო სამსახურში ადგილი ვერ უშოვნიათ არამც თუ ჩვენში, არამედ რუსეთშიაც, ამის მაგალითები საკმაოთ თვალწინ გვაქვს. ახლა მთელ რუსეთში რაც აგრონომები, ტეხნოლოგები და ინჟენრები არიან, რომელთაც სახელმწიფო სამსახური ვერ უშოვნიათ, ყველანი გაჭირვებულათ ცხოვრებენ და უბრალო მაკლერობას და კომისიონერობას ჰკიდებენ ხელს. განა ჩვენშიაც, ვინც აგრონომათ, ან სამთო ინჟენერათ, გაათავა სწავლა და სახელმწიფო სამსახურში ვერ შევიდა, უკიდურეს მდგომარეობაში არ არის? რა აქვს საერთო ჩინოვნიკობას აგრონომიასთან? მაგრამ რადგან ჩვენ ტეხნიკებს და მეურნეებს სახელმწიფო სამსახურს გარეშე ვერა გაუწყვიათრა, თავისი სპეციალური სწავლა რომ ვერ გამოუყენებიათ, ძალაუნებურათ ჩინოვნიკებათ ჰხდებიან. მე ამით ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ღარიბ ქვეყანაში, სადაც კაპიტალი, ეს არის, ახლა ჩნდება დ მემკვიდრეობით დაგროვებული სიმდიდრე არსად არის, უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელი ქვეყნის მრეწველობას და ტეხნიკურ წარმოებას წინ ვერ წასწევს. ვინც კი ამ პოლიტეხნიკუმში სწავლას გაათავებს, ათ სწავლულში ცხრამ თავისი ქვეყანა უნდა დააგდოს და შორს გადიხვეწოს ლუკმა პურის საძიებლათ. აი, ასეთმა გარემოებამ შექმნა ევროპაში დიდძალი საშუალო სატეხნიკო სასწავლებლები, რომ იქიდან გამოსული ღარიბი დედ-მამის შვილი მარტო პრაქტიკულათ იყოს მომზადებული სახელოსნოებში და ფაბრიკებში სამუშაოთ; იგი იყოს დახელოვნებული ხელოსანი, ანუ ფაბრიკის ტეხნიკური მუშა. ცხრა მეათედი ევროპის ხალხებისა ღარიბია და აძიტომაც ის არ ეკარება უმაღლეს სასწავლებლებს, პოლიტეხნიკუმებს. იმას შეჰყავს თავისი მოზარდი თაობა საშუალო საპრაქტიკო-სახელოსნო ტეხნიკურ სასწავლებლებში, იქ ათავებიებს სწავლას და მერე თექვსმეტი წლის ახალგაზდას ეუბნება: წადი, ხელობა გისწავლია, აწ როგორც გინდა, ისე ირჩინე თავი, გინდ ფაბრიკაში შედი, გინდ ხელოსნათ გახდი, გინდ ნოქრათო. ოჯახმა გამოგზარდა, ლუკმა პურის მოსაპოებელი ცოდნა ხელში მოგცა, აწ ოჯახი შენგან თავისუფალიაო; თუ არ იშოვნი სამუშაოს, გლახა ყოფილხარ და თუნდ შიმშილითაც მომკვდარხარო. აი, მთელი ევროპის წარმოების ბედ-იღბალი ამ პრაქტიკულათ ნასწავლ თაობაზეა დამოკიდებული. ხოლო ეს თაობა მხოლოთ საშუალო სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებლებში იზრდება. პოლიტეხნიკუმები მარტო მდიდარი, „რენტიეს“ შვილებისთვის არის, რომელთაც წელიწადში ათი, ოცი, და ასი ათასი ფრანკი, თუ გულდენი, რჩებათ სამკვიდროთ შემოსავალი; მათთვის ბანკებშიაც მილიონიანი კრედიტებია გახსნილი. ისინი გაათავებენ თუ არა სწავლას, მაშინვე შეუდგებიან თავის ზავოდების, ან ფაბრიკების გამართვას, ხოლო საშუალო და დაბალი შეძლების თაობა, პრაქტიკულათ მომზადებული სამუშაოთ, შედის იმათ ზავოდებში და ფაბრიკებში. ამ სახით ისინი ერთი მეორეს ხელს უწყობენ და დიდი წარმოება იმართება.

ჩვენი ქვეყნის ხალხი, როგორც ზევით მოვიხსენეთ, ღატაკია; კავკასიის პოლიტეხნიკუმში კურს-

დასრულებულმა კაცებმა ჩვენი ქვეყანა უნდა დააგდონ და სხვა ქვეყნებში დაიქსაქსონ ლუკმა პურის საძიებლათ. მაშასადამე ჩვენ ღარიბ ხალხში პოლიტეხნიკუმის დაარსება ენების მეტს ვერას მოგვიტანს. ჩვენი ქვეყანა დანიშნულია სამთო-სამადნო და სამეურნეო წარმოებისთვის. ამ წარმოების ასაღორძინებლათ საჭიროა, რომ ჩვენი ღარიბი ხალხისგან დაიბადოს პრაქტიკულათ მომზადებული მიწის მუშა, მებაღე, ხელოსანი და შტეიგერი. ხოლო ამგვარ თაობას გამოგვიზრდის მარტო საშუალ-სამეურნეო და სამთო-სამადნო ტიპის სკოლები. აი, ასეთი სასწავლებლების გამრავლებას უნდა შევუდგეთ ჩვენც. ამ შემთხვევაში მთავრობა უფრო კარგათ მიხვდა ჩვენს საჭიროებას და ცდილობს კიდეც ასეთი ტიპის სასწავლებლები დაგვიარსოს. ჩვენმა საზოგადოებამ, აი, ამაში უნდა შეუწყოს ხელი მთავრობის ასეთ წადილს.

რაიცა შეეხება უნივერსიტეტს, აქ კი ჩვენმა საზოგადოებამ უნდა გამოიჩინოს შესაფერი გამჭრიახობა და კავკასიის უნივერსიტეტის დაარსებას ჩაჭიდოს ხელი. თუ ხელისმოწერით ფულის შეკრებას გადაწყვეტს თფილისის საბჭოს მიერ დაარსებული კამისია, ეს უნდა იკრიბებოდეს მარტო კავკასიის უნივერსიტეტის დასაარსებლათ და არა სხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებლისთვის. ჩვენი ერის თანაგრძნობაც მხოლოთ უნივერსიტეტის დაარსებაზე უნდა იყოს მიქცეული. ხოლო თუ რამდენათ საბუთიანია და მიუცილებელი საჭირო კავკასიისთვის უნივერსიტეტის დაარსება, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

გ. წერეთელი.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევამ გაშინჯა რა 1893 და 1894 წლების საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“, მოიწონა და მიიღო თავის ოლქის სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ. ახლა შეუდგებიან 1895 და 1896 წლების ჟურნალ „ჯეჯილის“ გაშინჯვას. ხშირათ გვესმის მასწავლებლებისაგან, რომ სანამ ოლქის სამოსწავლო რჩევა არ მოიწონებს, ჩვენ ვერ ვიხმართ სკოლებში „ჯეჯილსო“, დღეის იქით ასეთ მიზეზს ალაგი აღარ უნდა ჰქონდეს.

***

პარასკევს 17 ოკტომბერს ქართული თეატრის ფოიეში შედგა კრება თავ. ილ. ჭავჭავაძის იუბილეის შესახებ—ანტონ ფურცელაძის თავმჯდომარეობით. საზოგადოება ბევრი არავინ დასწრებია. სხდომა გაგრძელდა ნაშუადღევის სამ საათამდის. საიუბილეო კამიტეტი ამოირჩიეს შემდეგი პირებისაგან:

ეკ. რევ. გაბაშვილი, უგან. თ. პეტრე ალ. გრუზინსკი, ქრისტ. იოს. მამაცაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკ. ზებ. ცხვედაძე, კიტა აბაშიძე, კ. მესხი, ან. ღულაძე, გრ. აბაშიძე და ვალ. გუნია.

***

ამბობენ ამ დღეებში შეიკრიბებიან საზნაურო კრების მიერ ამორჩეული კამისიის წევრები, რომელნიც უნდა შეუდგენ თფილისის ღუბერნიის საერო დაწესებულებათა შემოღების პროექტის განხილვას.

***

ამ დღეებში მოხდა გორში კრება სამეურნეო ამხანაგობის წევრთა, რომელთა შორის მომეტებული ნაწილი გორის მაზრის ადგილ-მამულის მეპატრონენი არიან. ამ კრებაზე დაადგინეს, რომ ამხანაგობის წარმოება გაადიდონ. ამხანაგობის გამგე დირექტორმა თ. კ. მ. ამირეჯიბმა დაანება თავი სამსახურს; მის მაგიერათ აირჩიეს თ. ი. გ. მაჩაბელი და დაუნიშნეს ორასი თუმანი ჯამაგირი წელიწადში.

***

ოთხშაბათს იყო მესამე წარმოდგენა ქართული თეატრისა. ითამაშეს ცოდვის შვილი, დრამა 3 მოქ. თხზულება ალ. დიუმა-შვილისა, თარგ. ქუჯისა. ეს ჩინებული აზრით შედგენილი დრამა კარგათ ითამაშეს ჩვენმა მსახიობებმა. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ახალმა მსახიობმა ქ. გარელმა, რომელსაც ეტყობა სცენაზე სიმკვირცხლე და მასთან ნიჭიც. სამწუხაროა, რომ ქართველი საზოგადოება ასე გულგრილათ შეჰყურებს თავის თეატრს; თითქმის არავინ ყოფილა თეატრში.

დრამას შემდეგ დადგეს ,,ბარაქალა მასწავლებელო‘‘, კომედია 1 მოქმ. მ. მ. საფაროვა-აბაშიძისა და საკმაოთ ცოცხლათ ჩაიარა.

***

თფილისში ეს პირველათ არის გამართული საბალოსნო სკოლის დარბაზში ხილეულობის და ბოსტნეულობის გამოფენა, რომელიც დაიწყო ამ თვის 15-ს. საზოგადოებას შეუძლია იხილოს ბაღის ნაწარმოები ამ გამოფენაზე დილის ათი საათიდან ნაშუად-

ლის ოთხ საათამდე. შესასვლელი ფასი ერთი აბაზია. მოწაფეებს შეუძლიათ უფასოთ შევიდენ გამოფენაზე. ეს გამოფენა ამ თვის 31-ს დაიხურება.

***

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მეურნეობის სამინისტროს თხოვნით გაუგზავნა ხსენებულ სამინისტროს დასათესათ ერთგვარი პურის ხორბალი, რომელსაც ეწოდება „სარიბუგდა“. ეს პური მოჰყავეთ თავ. გორჩაკოვის მამულში განჯის მახლობლათ და საუკეთესო თვისებისაა. ზოგიერთ ჩვენებურ მემამულეთაც, როგორც მაგალითათ, მხეიძეს —ქუთაისის გუბ. და ფრიდონოვს—კახეთში აზრათა აქვთ დათესონ ეს პური თავიანთ მამულებში („ივერია“).

***

სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიაში ჩაის პლანტაციების განვითარების ხელის შესაწყობათ განზრახვა აქვს თურმე 1) გაგზავნოს ამ წელს რამდენიმე აგრონომი ჩინეთსა და კუნძულს ცეილონზე ჩაის მოყვანის შესასწავლათ; 2) დააარსოს კავკასიაში სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი ჩაის მოყვანა-დამზადების შესასწავლათ და 3) გამართოს რამდენიმე სამაგალითო პლანტაცია ჩაისა („ივერია“).

## მგზავრის შენიშვნები.

(ევროპაში) *)

III.

წინეთ ვთქვით, ოჯახი, როგორც ჩვენ ვართ ამას შეჩვეული, აქ არ არსებობსო. ამასაც ანგარიშთან აქვს დამოკიდებულება. ოჯახში საჭმლის გაკეთება ძვირათ დაჯდება, რესტორანში გაკეთებული კი უფრო იეფათ იყიდება. სახლში საჭმელი ხუთიოდე სულისთვის უნდა გაკეთდეს, რესტორანებში კი ათასი სულის საჭმელი ერთათ კეთდება. ცხადია, იქ გაკეთებულიც უფრო იეფათ უნდა იქნეს. ამას გარდა ოჯახში საჭმლის გაკეთებას დრო უნდა და აქ კი დრო—ფულია. ნაცვლათ საჭმლის კეთებისა აქაური ქალები საქმეზე არიან: მაღაზიებში, დუქნებში, ზავოდებში, კანტორებში, სახელოსნოებში, მუშაობენ და ფულს იღებენ. ჩვენ ქალებს მუშაობა საზოგადოთ ან მუშაობის ზოგიერთი დარგი სასირცხოთ მიაჩნიათ. აქ კი არავის ფიქრათ არ მოუვა, რომ მუშაობაში რაიმე სასირცხო და სათაკილო დაინახოს. ფული მუქთათ არ იშოვება და amიტომ ყველა იძულებულია (მდიდრებს გარდა, რასაკვირველია) გაისარჯოს, იშრომოს და ფული მოიპოვოს.

მთელი ევროპის ცხოვრება საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე, ყიდვა-გაყიდვაზეა აშენებული და ამ ყიდვა-გაყიდვის ჩარხი კი ფულია. ძველ დროში, როცა ვაჭრობა არ იყო განვითარებული, ხალხი ვაჭარს და ფულს ზიზღით უყურებდა. აი, როგორ გამოთქვამს ცეზარი თავის თანამედროვეთა აზრს ვაჭრობის შესახებ: „დუქანი და ვაჭრობა—ამბობს ის—პატიოსანი კაცის საკადრისი არაა. ვაჭარს, თუ არ იცრუა, არ შეუძლია მოგება და ცრუობაზე უფრო სასირცხო რამე კიდევ შეიძლება? ყველა იმათი მოხელეობა, რომელნიც ჰყიდიან თავიანთ შრომას და ნაწარმოებს, სასირცხოთ და საზიზღარ რამეთ უნდა ჩაითვალოს, რადგან ვინც თავის შრომას ფულის გულისთვის იძლევა, ის ამით ჰყიდის თავის თავს და მონის მდგომარეობაში გადადის!... რა თქმა უნდა, ახლა ევროპაში ცეზარის თვალით აღარ უყურებენ ვაჭრობას და ის, რასაც ცეზარი სასირცხოთ თვლიდა, ახლა ძალიან მოწონებაში და პატივშია. ევროპაში ყველაფერი ყიდვა-გაყიდვაა. იყიდება ნივთი, იყიდება თვით ნივთის გამკეთებელი—ადამიანი, იყიდება ნამუსი, პატიოსნება, სირცხვილი... მუშა, რომელსაც თავისი მკლავების მეტი არა გააჩნია რა, იძულებულია ფულის გულისთვის მიჰყიდოს თავი კაპიტალისტს და მისი ყმა გახდეს, ესრეთ წოდებული „ინტელიგენცია“ იძულებულია მდიდრების მოჯამაგირეობა იკისროს. ქალი, რომელიც ღარიბია, იძულებულია თავისი სილამაზე გაჰყიდოს, საკუთარი სხეულით ივაჭროს. ვინ მოთვლის, რამდენ კაცს საკუთარი პიროვნების ღირსებაზე და თავმომწონეობაზე აღებინებს ხელს ფული!.. შედიხართ, მაგალითად, variété-ს ტიპის თეატრში და, აი, ასეთ სანახავს ხედავთ: გამოდის სცენაზე ახალგაზდა კაცი და თავის „ხელოვნებას“ უჩვენებს ხალხს. ჰბაძავს ვირის, ჯორის, აქლემის და სხვა ცხოველთა სიარულს და ხტუნვას; ათასნაირათ ილმიჭებ-იგრიხება, გორავს მიწაზე და სხვ. უყურებთ გაკვირვებული და თან ფიქრობთ იმაზე, თუ რამდენი დრო, რამდენი შრომა უნდა მოენდომებია ამ კაცს, რომ ასე საუცხოვოთ, ასე სავსებით შეესწავლა ვირის ყროყანი და კუნტრუში; იქვე სცენაზე ვხედავთ ახალგაზდა ქალს, რომელსაც ლოთობისგან და გარყვნილებისგან ხმა დაჰკარგვია, მარა მაინც მომღერ-

---

*) იხ. „კვალი“, № 41.

ლათ თელის თავის თავს; მღერის უწმაწურ ფრანგულ ლექსებს, თან უხეიროთ ფეხებს ატრიალებს, მოკლე კაბას ზევით იწევს და თავზე იფარებს; ხტ ს, ტაშის დაკვრისთვის, მადლობის ნიშნათ ხელით კოცნას გვგზავნისთ და შემდეგ, დასასრულ, pour la bonne bouche, ტიტველი ცოცხალ სურათათ გეჩვენებათ სცენაზე....

ყველა ეს და ათასი ამგვარი რამეები სულ ფულის გულისთვის ხდება. ასეთია ფულის ძლიერება. ახალგაზდა კაცს, რომელიც სხვა გარემოებაში, შეიძლება, საზოგადოების სასარგებლო წევრი ყოფილიყო, ფული პირად ღირსებას, პირად თავმომწონეობას აკარგვინებს. სადაც ცხოვრება ამ გვარათაა მოწყობილი, იქ, რა თქმა უნდა, ხალხს სტუმრობისთვის და „მრავალჟამიერისთვის" აღარ ცალია. ქეიფი და უდარდელათ ცხოვრება ევროპაში მხოლოთ მდიდრებს შეუძლიათ. ღარიბი კი მუდამ ლუკმა პურის ძებნაშია, მუდამ შრომაშია, მაგრამ, ასეთი მუდმივი ჯაფის მიუხედავათ იგი მუდამ სიღარიბეშია, მუდამ ნახევრათ მშიერია. ბურჟუაზული წარმოების თვისება ისეთია, რომ აქ მდიდარი მუდამ მდიდრდება და, ჩვენებური ანდაზის არ იყოს, — „ვისაც ჰქონდეს, იმასვე მიემატოსო", სწორეთ ისე მის მილიონებს მუდამ მილიონები ემატება. ღარიბი მუშა ხალხი კი, რომლის ოფლითაც ეს მილიონები კეთდება, ყოველთვის ცარიელ-ტარიელი რჩება და სიღარიბის ბნელეთში შიმშილით და სხვა-და-სხვა ავათმყოფობით უდროვოთ წუთი სოფელს ესალმება. აი, რას ამბობს ამის შესახებ სტატისტიკა. ბერლინში 1—5 წლის ბავშთა 5% იხოცება საზოგადოთ, მაგრამ ღარიბთა შორის ეს 34½%-ით გამოიხატება. ბრიუსელში მდიდართა შორის ბავშების 6% იხოცება, ხოლო ღარიბებში კი 54%. ერფურტში ჰკვდებიან 30½% პროლეტარების შვილები, მდიდრების შვილები კი 8.—9%. პარიჟში მდიდართა უბანში (Madeleine) მცხოვრებთა 10% იხოცება, ხოლო ღარიბთა უბანში (Montparnasse) 40%. ვენაში 1881—1891 წწ. მიცვალებულთა რაოდენობა ასეთია: მდიდრების უბანში 11.99% და ღარიბებისაში 28.49%. ლიონში იხოცება 35% ღარიბებისა და 10% მდიდრების. ინგლისში საშუალო რიცხვით მდიდრები ცოცხლობენ 44 წელს, ხოლო ღარიბები 19,58 წელს.

ასე გამოიხატება გავლენა მუშა ხალხზე შიმშილის, ცუდი სადგომის, დაღალულობისა. ერთი მწერლის გამოანგარიშებით, დანების დასამზადებელ ფაბრიკებში მუშამ დღეში 28000-ჯერ უნდა დაჰკრას ჩაქუჩი, რომ დღიური ლუკმა პურის ქირა მიიღოს.

მაგრამ, იქნება, ეს პროგრესი იყოს? იქნება მთელი საზოგადოების წინმსვლელობისთვის საჭიროა, რომ უმრავლესობა სიღარიბეში იღრჩობოდეს და საზოგადოების მცირე ნაწილი კი განცხრომაში და ფუფუნებაში იყვეს? ხშირათ გაიგონებთ, „დარვინმა დაამტკიცაო" და სხვ... ბურჟუაზიულ წეს-წყობილების დამცველთ და წარმომადგენელთ ხშირათ მოჰყავთ არსებული წესწყობილების დასაცველათ, საზოგადოების კლასსებათ დაყოფვის დასაკანონებლათ დარვინის სახელი, დარვინის მოძღვრება. ბუნებას ასე უნებებიაო, ამბობენ ისინი, რომ ქვეყნათ დიდპატარობა, ძლიერნი და უძლურნი, რჩეულნი და არა რჩეულნი ე. ი. მდიდარნი და ღარიბნი არსებობდენო და ცხოვრების მეჯლისშიაც მხოლოთ მდიდრებს უნდა ჰქონდესთ ალაგი, რადგან თვით ბუნებისაგან ისინი არიან რჩეულნიო...

მართლა ასეა? ვნახოთ. მხოლოთ მკითხველს ვთხოვთ არ დაივიწყოს, რომ ჩვენ ევროპაზე, ევროპის სოციალურ მდგომარეობაზე გვაქვს ლაპარაკი. ყველა ქვეყნებზე ერთგვარათ სჯა, რასაკვირველია, არ შეიძლება, რადგან რაც ერთი ქვეყნისთვის პროგრესს ნიშნავს, ის, შეიძლება, მეორე ქვეყნისთვის უკვე რეგრესსი იყოს...

## IV.

რა თქვა დარვინმა?

მკითხველმა რასაკვირველია, იცის, რომ დარვინი ეკონომისტი არ იყო, იგი ადამიანთა ცხოვრებას, სოციოლოგიურ კანონებს არ იკვლევდა. ის იყო ბიოლოგი და მისმა გენიალურმა თეორიამ ბიოლოგიაში მართლაც მთელი ეპოქა შექმნა. ხსენებული თეორია მოკლეთ ასე გამოიხატება: ბუნებაში ყველა ორგანიულ არსებათა საყოფი საკვები მასალა არ მოიპოვება, ორგანიული არსებანი მუდამ მრავლდებიან, ხოლო ბუნებაში არსებული საკვები მასალა კი ერთ დონეზე დგას. აქედან წარმოდგება ცხოველთა შორის ცხოვრებისთვის აუცილებელი ბრძოლა. სიცოცხლე ყველას უნდა, მარა რახან ბუნებას სარჩო ყველასთვის არ დაუმზადებია, ყველა იძულებულია იბრძოლოს, ერთმა მეორეს სარჩო გამოტაცოს და თავისი თავი შიმშილით სიკვდილს გადაარჩინოს. ვინც სუსტია, ვინც უძლურია, ის ამ ბრძოლაში კვდება, მას ძლიერი, ღონიერი ერევა და მისი წილი სარჩოც ღონიერს მიაქვს. მარა აქ „ღონიერი" იმ აზრით არ უნდა გვესმოდეს, რომ ვითომ ვინც ბრძოლაში იმარჯვებს და ცოცხალი რჩება, ის უთუოთ ფიზიკურათ მართლა ღონიერი იყოს. ცხოვრებისთვის ბრძოლაში გამარჯვება საზოგადოთ განისაზღვრება არა ფიზიკური ღონით, ძალით, არამედ იმ გარემოების მიხედვით, თუ რამდენათაა ორგანიზმი ბუნებრივს არეს შეთანხმებული, შესაბამებული. ამ გვარათ ბრძოლაში

„ძლიერნი“ ე. ი. ბრძოლისთვის უფრო განვითარებულნი, ბუნებრივ არესთან უფრო შეთანხმებულნი იმარჯვებენ, ხოლო სუსტნი, რომელთაც ბრძოლის ატანა არ შეუძლიათ, ისოცებიან. თან-და თან რჩება ორგანიზმთა საუკეთესო ელემენტები, ასე ვთქვათ, არისტოკრატია, რომელიც შთამომავლობას გადასცემს თავის საუკეთესო, ბრძოლის მოთხოვნილებასთან შეთანხმებულს თვისებებს. მაშასადამე შემდეგი შთამომავლობა ყოველთვის უფრო განვითარებულია წინანდელზე და ამგვარად ცხოვრებისთვის ბრძოლას ცხოველნი მუდამ განვითარებისკენ, პროგრესისკენ მიჰყავს.

გამოქვეყნდა თუ არა დარვინის თეორია, მოჰყვენ მდიდრები ცეკვას, ტაშის ცემა და მათ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ხუმრობა საქმეა! საკუთარი ბატონობის დასაკანონებლად მათ მეცნიერული საფუძველი, მეცნიერული არგუმენტიც იშოვეს! აჰა, სოციალისტების უვიცობა,—მათ მეცნიერების არა იციან რა, დარვინი არ შეუსწავლიათ... გამოდის, რომ ბრძოლა ბუნების კანონია, აუცილებელი კანონია და მისი მოსპობა შეუძლებელია. გამოდის, რომ საზოგადოებაში ფაქტიური უთანასწორობის აცილება არ შეიძლება, ესეც ბუნების კანონია. სუსტნი ე. ი. ღარიბნი უნდა გაწყდენ და ცხოვრებაში ალაგი მხოლოდ რჩეულთ, პროგრესიულ ელემენტთ უნდა დარჩეს. და ეს „რჩეულნი“, ეს პროგრესიული ელემენტი კი ჩვენ, მდიდრები ვართო... ამიტომაო,—ეუბნებოდენ ისინი მთავრობას,—არ ჩაერიოთ საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრების ურთიერთობაში,—ღარიბთა, „სუსტთა“ სასარგებლოთ რასაკვირველია,—არ გამოსცეთ მუშა ხალხის მფარველი კანონები, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ ხელს შეუწყობთ ისეთი ელემენტების სიკვდილისაგან გადარჩენას, რომლებიც თვით ბუნებისაგან განწირულნი არიან სასიკვდილოთო... თქვენ ამით პროგრესს შეაფერხებთ, მთელ კაცობრიობას დაღუპავთო!.. გაგვიშვით ჩვენ, ჩვენ ვართ, რაცა ვართ,—laissez faire, laissez passer-ო... თქვენ კი, უტოპისტებო, ოცნებით მოცულნო,—ეუბნებოდენ ისინი მუშათა ქომაგთ,—თქვენ უტოპიებს თავი დაანებეთ და მეცნიერება, დარვინის ნამდვილი მეცნიერება, შეისწავლეთო...

როგორც ვთქვით, დარვინის თეორიამ მთელი ეპოქა შექმნა ბიოლოგიაში. ურიცხვი წიგნები, უთვალავი „პოპულარიზაციები“ დაიწერა დარვინის თეორიის შესახებ. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, ყოველგვარი დიდი მოვლენა, მომხდარი ერთ რომელსამე ხალხში, ვრცელდება სხვა ხალხებშიაც. დარვინის თეორიაც გავრცელდა არა მარტო მეცნიერებაში და მეცნიერებში, არამედ უბრალო მომაკვდავთა შორისაც, ასე რომ დღეს დარვინი და დარვინის თეორია გიმნაზიის მეოთხე კლასსის შეგირდსაც კი აქვს გაგონილი... ამიტომ, თუ ევროპის ბურჟუაზია დარვინის სახელს თავისი კლასსიური ინტერესების დასაცველად იყენებს და ბურჟუაზიულ „მეცნიერთ“ ხსენებული თეორია ბიოლოგიიდან სოციოლოგიაში გადააქვთ, ჩვენში მოიპოვებიან ისეთი „ინტელიგენტები“, რომელნიც ამას უბრალო გულმართლობით ჩადიან. მაგალითად, „მოამბის“ მარტის ნომერში შემდეგს წაიკითხავთ: „ბუნებისთვის სულ ერთია, ვინ დაიჩაგრება და ვინ გაიმარჯვებს, მხოლოდ ეს კი ნამდვილია, რომ უკეთესი დარჩება და უარესი მოისპობა. თუ ყოველთვის ასე არ არის, ეს ცალკე შემთხვევაა და არა კანონი. ამას ხომ დარვინიც გვიმტკიცებს არა ნაკლებ საფუძვლიანად... რა დროს მოისპობა ბრძოლა? მაშინ, როდესაც კაცობრიობას, აგრეთვე ყოველ ცხოველს, მოესპობა სურვილი თავის მდგომარეობის გაუმჯობესობისა, მოკლედ, რომ ვთქვათ: ან სიცოცხლე და მიუცილებელი ბრძოლა, ან სამარადისო მშვიდობა საფლავსა შინა“...

ფ. მახარაძე.

(შემდეგი იქნება)

## პავლე მოციქული.

ქრისტიანობას პავლე მოციქული რომ არ მოევლენოდა, იგი მტკიცე ფესვს ვერ გაიდგამდა კაცობრიობაში. პავლემ ქრისტეს სარწმუნოება ვიწრო ებრაელთა წრიდან გამოაქვეყნა მსოფლიო ასპარეზზე და შეიტანა სიტყვა ღვთისა ურწმუნოთა შორის. ეს მოახდინა მან მით, რომ საბოლოვოთ უარჰყო მოსეს კანონი და ქრისტეს მცნების წინაშე კერპთაყვანისმცემელნი და მოსეს რჯულის აღმსარებელნი თანასწორნი გახადა.

პავლე მოციქულს ებრაულად ერქვა საული. იგი დაიბადა ტარსის ქალაქში, რომელიც მდებარეობდა კილიკიის მაზრაში.

საული ებრაელთა შორის დიდი გვარის ჩამომავალი იყო და ირიცხებოდა რომაელ მოქალაქეთ. მაშინ ეს წოდება თავადიშვილის ღირსებას უდრიდა. ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო, რომ ის იერუსალიმს მივიდა და ფარისეველთა უმაღლეს სასწავლებელში შევიდა მოსეს რჯულისა და ღვთის-მეტყველების შესასწავლათ. როდესაც წმინდა სტეფანემ უარჰყო იერუსალიმში ებრაული ღვთის-მსახურება, იქადაგა ჯვარ



პავლე მოციქული.

ცმულის თაყვანისცემა და ახალი ეკლესიის დაარსება, საული აღიჭურვა ქრისტიანების დევნისათვის. მისი აზრით ქრისტიანები იყვნენ განდგომილნი მოსეს რჯულისაგან, ურწმუნონი, რომელნიც უნდა ამოფხვრილ იყონ. ბუნებით ფიცხმა და ხასიათშეუდრეკელმა ქაბუკმა თვით იკისრა ამათი დევნა და სინედრიონისაგან ნება აიღო. ის გაეშურა დამასკის ქალაქისკენ, მაგრამ გზაზე გულში ჩაექცა საკვირველი მწუხარება, რომელიც წარმოდგა შინაგან აზრთა-ღელვისაგან. ის იყო ძალიან განათლებული კაცი კლასსიკურათ და დიდი მწიგნობარი. პლატონის ფილოსოფია ზედმიწევნით იცოდა. წარსული მისი უსამართლოება ქრისტიანებზე მას არ აძლევდა მოსვენებას. რაც უფრო დევნიდა მათ და იკვლევდა იმათ შინაგან ცხოვრებას, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ისინი იყვნენ სულგრძელნი და განუსაზღვრელი გულკეთილები. იმას ხშირათ ესმოდა მათგან: „ღმერთო, მიუტევე მას, რამეთუ არა უწყის, რასა იქმსო“. საულს თვალწინ უდგა იესო ქრისტის გოლგოთაზე უსამართლოთ დატანჯვა და ჯვარცმა, მას ხშირათ ესმოდა ებრაელ ქრისტიანებისგან ამ სოფლის ამაოება და იმ სოფლის ცხონება, რომელიც უნდა მისცემოდა კაცს ტანჯვისათვის, ესმოდა, რომ იესო ქრისტემ თავისი ტანჯვით კისრათ იდო ქვეყნის ცოდვა და გამოიხსნა მართალი სულები სასიკვდილო ცოდვებისაგან.

მის გულში გაჩნდა სიბრალულის გრძნობა, რომელმაც დაწვა მთელი მისი არსება. ამიერიდან მას აღარც დღე და აღარც ღამე არ ძინებია: მუდამ ის




მემუსიკე გოდოლში (იტალიური ნავი).

იქვე აწუხებდა, ვაითუ ქრისტიანებს უსამართლოთ ვდევნიდეო. ერთ დღეს ის მიუახლოვდა დამასკის ქალაქს და უეცრათ დაიბნიდა მოჩვენებისაგან; მას გამოეცხადა ქრისტე და მოესმა ასეთი სიტყვები: „სავლე, სავლე, რათ მდევნი მე. არა ჯერ არს გახურებული შანთის ხელით შეხება“.

ამ ჩვენებას შემდეგ საული მოიქცა და მალე მოინათლა ქრისტიანათ, მას დაარქვეს პავლე, რომელიც შეიქნა პეტრეს შემდეგ მეორე მოციქული ქრისტესი და დაამყარა ქრისტიანობა შეურყეველ ღვთისმეტყველურ მცნებაზე.

## „კვალის“ კორესპონდენციები.

ქუთაისი. 2 ოქტომბერს დაიწყო აქაურ სამეურნეო სასწავლებელში მისაღები ეგზამენები და შვიდს დასრულდა. სასწავლებელში შემოსულის მსურველთა რიცხვი წელს 65 იყო. ოზურგეთის მაზ.—16, შორაპნის—15, ქუთაისის—11, ზუგდიდის მაზრიდან—7, სენაკის—7, რაჭის—7, ლეჩხუმის—1, და სოხუმის ოლქიდანაც 1.

ამ რიცხვიდან სკოლის ხარჯზე მიიღეს ოზურგეთის მაზ. 3, შორაპნის მაზ.—3, ქუთაის მაზ.—2, ზუგდიდის მაზ.—2, სენაკის მაზ.—1, რაჭის მაზრიდან—2, ლეჩხუმის მაზ.—1 და სოხუმის ოლქიდან 1. თავიანთ ხარჯზე მიიღეს შორაპნის მაზ.—6, ქუთაისის მაზ.—5, ოზურგეთის მაზ.—4, ზუგდიდის მაზრიდან—2, სენაკის მაზ.—2; აქედან გლეხები არიან 21, ღვდლის შვილი 1, აზნაურიშვილი 10 და თავადიშვილი 2.

მსურველთა მომეტებული ნაწილი ნორმალური შკოლებიდან იყო და ყველაზე უკეთ იჭერდენ ეგზამენებს, იყვენ სხვა სასწავლებლებიდანაც. მაგ. სასულიერო სასწავლებლიდან.

რადგან წელს სკოლაში ადგილი ცოტა იყო და მსურველთა რიცხვი კი ერთი-ორათ აღემატა მას, ამისათვის სკოლის გამგეობამ კონკურსნი ეგზამენები დანიშნა, რომელზედაც 50 მაინც კარგი ნიშნები (4 და 5-ები) მიიღეს, მარა უადგილობის გამო ჯერჯერობით მიღებულია მხოლოთ 34; დანარჩენების საუკეთესო ნაწილი კანდიდატებათ არიან დანიშნულნი და, თუ ვინმემ სიღარიბისა ან სხვა რაიმე მიზეზის გამო უარი განაცხადა დარჩენაზე,—მაშინ ისინი იქნებიან მიღებულნი. ასეთი სიმრავლე მსურველთა იმით უნდა აიხსნას, რომ ყველას ეგონა მათ შვილებს სკოლის ხარჯზე მიიღებდენ და მუქთათ შვილის გამოზრდაზე ხომ უარს ვინ იტყვის, თუნდაც ის სამეურნეო განათლება ახალმოდის განათლება იყოს. ასეთი სურვილი და იმედი ყველა მათგანს ეტყობოდა და ზოგიერთნი შემდეგ ასე გაიძახოდენ: „უფულოთ გამომიზრდიდით მეგონა შვილს, თვარა ფული თუ გადავიხადე ამაზე უკეთეს სასწავლებელში შევიყვანო შვილი, ის არ ჯობია?!“-ო, ბევრი ამისათვის უკმაყოფილონი დარჩენ, მაგრამ რას იზამდა სკოლის გამგეობა, ყველას ხომ ვერ აამებდა!.. მასწავლებელთა სასიქადულოთ უნდა ვთქვათ, რომ ისინი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ცდილობდენ მართლიერობა დაეცვათ და ნათესაობა-ნაცნობობით არ შეეწირათ მომავალი მეურნეების სიავ-კარგე. შეუცდომელი ხომ არავინ არის და, თუ ვისმე თავისდა შესაფერათ ვერ მოუზღვეს, იმედია, გაასწორებენ. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ თითონ ისინი მრავალ მსურველთაგანს ათასგვარ რჩევებს აძლევდენ გასაჭირისაგან თავის დახსნისათვის. ასეთი რჩევების ზეგავლენით ბევრი მსურველთაგანი სკოლის აქაურ საზოგადოების განყოფილებას შემწეობის თხოვას უპირებენ და ვნახოთ, რა ზომებს მიიღებენ ამ საზოგადოების წევრნი!..

ზოგმა ღარიბთაგანმა, თუმცა სკოლაში ნიშნებით მიღებულნი იყვენ, მარა ახლავე უარი განაცხადეს დარჩენაზე, რადგან თავიანთი ხარჯით სწავლა არ შეუძლიათ. ასეთები უფრო გურია-სამეგრელოდან იყვენ და მართლაც საცოდავათ ტიროდენ ისინი თავის მდგომარეობაზე...

ისი.

* * *

ს. ჯურუყვეთი და ებალაური (ოზურგ. მაზრა) ერთ დროს საკმაოთ მდიდარ სოფლებათ ითვლებოდენ. თქვენ წარმოიდგინეთ მრავალი ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწები, ზედ-მოდებული მდიდარი ტყე, გავსებული ყოველნაირი ნადირით, სანაოსნო მდინარეები, რომლებიც ჩაერთვიან პალეოსტომის ტბას და დარწმუნდებით, რომ ეს მხარე ბუნებას საკმაოთ შეუმკვია. დღეს ეს ბუნებრივი სიმდიდრე თითქმის სრულიად გაჰქრა. აქაური მდიდარი ტყე, რომელიც მცხოვრებლების საერთო კუთვნილებას შეადგენდა, ბარბაროსული მოვლა-სარგებლობით განადგურდა და ისიც კერძო პირებმა მიისაკუთრეს: ზოგს ხაზინა დაეპატრონა, ზოგიც—ადგილობრივმა მებატონეებმა დაირჩინეს. გლეხკაცობას მხოლოთ სახნავ-სათესი მიწები დარჩა უფლებაში. მაგრამ ისინიც ხანგრძლივი მუშაობით გამოფიტულენ. მცხოვრებლების ერთათ-ერთ წყაროს არსებობისას სიმინდის მოყვანა შეადგენს, სხვა რისამე გაკეთებას არც კი ფიქრობს ვინმე.

ზემოთ მოხსენებულ სიმდიდრეში მყოფნი აქაურები, სრულიად არ ფიქრობენ სწავლის საჭიროებაზე, მით უმეტეს, რომ სწავლა მხოლოთ თავის რჩენისათვის არის საჭირო, მათი აზრით და, რა კი უსწავლელათაც ილათ გამოდიან, სწავლა მეტ ბარგათ მიაჩნიათ. ამისათვის აქ არც ერთი რიგიანი წერა-კითხვის მცოდნე არ მოიპოვება. თუმცა სოფლის სკოლა დიდი ხანია არსებობს, მაგრამ არის მხოლოთ ფორმალურათ და სარგებლობა კი არ მოუტანია. ამნაირათ ქონებრივ დაქვეითებასთან ერთათ, მცხოვრებლები ზნეობრივათაც დაქვეითდენ. ვინ მოთვლის, რამდენი გულის მომწყვლელი ცრუ-მორწმუნეობა დ უწესოება ხდება ხოლმე აქ უსწავლელობის გამო!.. ს. ხაჯალიაზე ჩვეულებრივ ხელობათ გადაქცევიათ „ცრუფიცობა“. აქ მთელი საზოგადოებისათვის ცნობილნი არიან რამდენიმე პირნი, რომლებიც ყოველ შემთხვევაში მზათ არიან, სრულიად მცირე სასყიდლით ცრუმოწმეთ დაუდგენ მსურველს და მართალი მხარე დაჩაგრონ.

ს. ჯურუყვეთში და ებალაურში გასულ წელს დაარსდა სამრევლო სკოლები. დიდის მადლობის ღირსნი არიან აქაური სემინარიელი მღვდლები ე. ჩხაიძე და ხ. ჯიჯიაშვილი. ესენი ენერგიულათ შეუდგენ როგორც სკოლების საქმეს, აგრეთვე წერა-კითხვის გავრცელებასაც; გულმოდგინეთ ებრძვიან ყოველნაირ დაბრკოლებას. აგრეთვე მადლობის ღირსნი არიან დ. დ მ. გიგინეიშვილები, რომლებიც ყოველნაირ შემწეობას აძლევენ აქაურ მღვდლებს მათი კეთილი მიზნის განხორციელებაში. ამათ განიზრახეს ბიბლიოთეკის დაარსება. ამისათვის ყოველი საჭირო ნივთები მოამზადეს. მოაგროვეს ას-მანეთზე მეტი ფული, მრავალი ქართულ-რუსული წიგნები, ჟურნალგაზეთები და სხვა საჭირო ნივთები. სამწუხაროთ, ბიბლიოთეკა დროებით აგვიკრძალეს, მაგრამ ამ პატივცემულ პირთ იმედი აქვთ კიდევ განახორციელონ თავიანთი განზრახვა.

შეწამებული.

*
* *

ს. ფუთი მდებარეობს შორაპნის რკინის გზის სადგურიდან ორი ვერსის მანძილზე და ეკუთვნის შორაპნის საზოგადოებას, რომელიც შედგება სამასი კომლი მცხოვრებლებისაგან და განიყოფება ორ ნაწილათ. თითოეულს ნაწილს საკუთარი (სამლოცველო) ეკლესია აქვსთ. პირველ ეკლესიას ეწოდება „წმიდა გიორგის ეკლესია“ და მეორეს წმიდა „თავარ-ანგელოზის“ ეკლესია. თუმცა ეს სოფელი განიყოფება ორ ნაწილათ და ორი ეკლესიაც არსებობს და თითოეული ნაწილი შედგება ას-ორმოც-და-ათი კომლი მცხოვრებლებისაგან, მაგრამ მიუხედავათ ამისა ერთი მღვდელი ჰყავსთ, რომელსაც მეტათ უჭირს მოვლა ამოდენა მრევლისა.

მეტათ შესაცოდებელნი არიან მეორე ეკლესიის, სახელდობ „მთავარ ანგელოზის“—მრევლნი, რომლებიც თითქმის ორ-ორი თვით მოკლებულნი არიან წირვა-ლოცვის მოსმენას და მღვდელმოქმედებას; საწყლები ყოველ უქმე დღეს მოვლენ თავის საკუთრება ეკლესიაზე წირვა-ლოცვის მოსასმენათ, უცდიან ღვდელს და ფიქრობენ, რომ წირვა წარსულ კვირას იყო პირველ ეკლესიაზე და დღეს, უეჭველია, ჩვენ ეკლესიაზე უნდა წიროს ღვდელმაო, იცდიან, იცდიან, მაგრამ სადაა ღვდელი; ბევრ ცდას შემდეგ დაიჩოქებენ, ემთხვევიან ეკლესიის კარებს და დაღონებულები გადმოვლენ ეკლესიის გალავნიდან, ასე დასჯილი არიან საწყლები. ვისთანაც კი უნდა შეხვიდეთ ამ მრევლთაგანის სახლში, ახალ და ძველ ამბათ ის აქვსთ სალაპარაკო, რომ არც შობას, არც აღდგომას და არავითარ უქმე დღეს წირვა-ლოცვა არ არის ჩვენ ეკლესიაზედო და ამნაირათ მოკლებული ვართ ღვთის ვედრებასო.

თუმცა მრავალჯერ ითხოვეს რომ მათთვის გაეწესებინათ საკუთარი ღვდელი, მაგრამ თურმე თხოვნა ეპისკოპოზის კანცელარიას არ გაცილებია. თხოვნა რომ განეხილათ, იმედია, არ დაგვტოვებდენ ევრე საწყლათო—ჩივიან აქაურები. იმედია, მიაქცევენ ამ საწყალ დასჯილ მრევლს ყურადღებას, ვისგანაც ჯერ არს, თვარა ხალხს, როგორც მათი სიტყვებიდან ჩანს, შეიძლება სულ დაავიწყდესთ ეკლესიაზე სიარული დ ღვთის ვედრება.

გ. მაიგოშვილი.



ნ ა ნ ა.

არა, ნუ მიშლით მე ჩემს ნანინას,
„ნუ მოუშხამე ნორჩი გულიო
„დეე ღიღინით შეხვდეს ცხოვრებას
„ვით გაზაფხულზე ვარდს ბულბულიო“

არა პატარავ, არ მოგატყუებ,
რომე ჭაღარა არ შემიგინო,
როცა ყრმას თვალნი აგეხილება,
შეჰკრთე და მწარეთ ამოიგმინო!

—

ნანა ნანინა, დედის ნუგეშო,
სხვასაც ბევრსა ჰყავს შენებრივ დედა,
მაგრამ ნანინა არ უტკბობთ გულსა,
ცრემლი ჩამოდის მათ აკვანზედა.

—

„ნანა ნანინა“ ბევრს ვერ ებნება
მშობლიურ გულით ხმა მაღლა დედა
შესცოდა სოფელს და „განკიცხული“
ის ივლის მაშინ ქვეყანაზედა.

—

ნანა ნანინა, ჩემო პატარა,
არა მშურს შენი უმანკო ძილი,
ნახავ ფარაჯას ზურგზე გუდითა,
გახსოვდეს, ჰქვია იმას შამშილი.

—

ჰკითხე, სად მიდის ამ სიცივეში,
დაუგდე ყური მწუხარე ამბავს,
გეტყვის: „მშობლო, ტალღათა შორის,
მარჯვენის ქნევით გამოვზდევ ლუკმას.

—

ნანა ნანინა, ნორჩო ყვავილო,
ბევრჯელ შესვდები სახე-ნაღვლიანს,
იცოდე იგი მოუტეხნია,
და მოუღლია ცხოვრების ტრიალს.

—

ნანა ნანინა, შენი გულისა,
ჩუ! რამ შეგიკრთო უმანკო ძილი?
ნუ გეშინია ჯაჭვთ-ჟღარუნისა,
ქუჩაში მიდის რკინის ბორკილი.

—

ყური დაუგდე, ის ბანს ებნება
თვის გამომჭედელს შიმშილ-სიცივეს,
ასეთი არის სოფლის სიმღერა,
ჩემო პატარა, არ გაგიკვირდეს!

—

ნანა ნანინა, იავნანინა,
იყავი ჩანგი სიყვარულისა,
და უბედურთ სიმს გადაახვიე
წკრიალა სიმი შენი გულისა.

—

ნანა ნანინა, გოლგოთისაკენ
შეიაღმართე იყავი გმირი,
მაგრამ იცოდე მოძმეთა მგლებით
მოკირწყლულია იქ გზის ნაპირი.

—

იავნანინა, სასოვო დედის,
რისთვის ამოჰყავ პაწია ხელი,
წამების ჯვარზე გულზე ყვავილით
გამოისახოს შენი სახელი!

ი. ევდოშვილი.

## „მშვიდობა შენდა!“

(მოთხრობა) *)

### I.

ეჰ!... რა აუტანელია ამ ქალაქში ცხოვრება!.. უთხრა ერთ საღამოს პონტიუს პილატემ თავის ცოლს საბინას, რომელიც გადაჰყურებდა სასახლის ფანჯარას და გატაცებით გაცქეროდა იერუსალიმის შვენიერ ტაძარს, აბობოქრებულ ქალაქს, მის მთა-გორით შემოზღუდულ მიდამოს და დახავსებულ კედლებს.

საბინამ ხმა არ გასცა პილატეს. იერუსალიმის სიდიადეს შეეპყრო მისი ოცნება.

საუცხოვო საღამო იყო: ჩამავალი მზე დაჰყურებოდა ერთ-ერთ გორაკს და ალმაცერათ გადმოჰყურებდა ჯურღმულში გაშენებულ ქალაქს. მზის სხივებით გალაპლაპებული ქალაქი საიდუმლოებით იყო მოცული... რაღაც უცნაური სიამაყე და მედიდურება აღბეჭდილიყო იერუსალიმის დახავსებულ კედლებზე, თითქოს ურიასტანის დიდება კი არ განადგურებულა რომაელთა გაბატონებით, არამედ მიძინებულა, მიყუჩებულა და დროებით გულ-ჩათხრობილი, ომ გადახდილ ლომივით მოდუნებულა, რომ კვლავ ძალა მოიკრიბოს და უმეტესი ძლიერებით აღიჭურვოსო... თუმცა კი ერთი-ერთმანეთზე მიდგმული სახლები, მათი წოწოლა, აზიურ გემოვნებაზე აგებული ბანები, ვიწრო და ალაგ-ალაგ ძალზე უსუფთავო ქუჩები ხშირათ სულს უხუთავდა ხოლმე რომაელთა დიდებულთ, რომლებიც არ იყვენ მიჩვეულნი ამ გვარ ზედა-ხორა ქალაქის მზერას, ამ გვარ შევიწროებულ და შემოფარგლულ ჰორიზონტის თვალიერებას.

პილატე შეაშფოთა ცოლის სიჩუმემ, მაგრამ მეორეთ აღარ შეეხმაურა და იქვე მდგომ, ოქროჲთა

*) ეს მოთხრობა აგებულია ცნობილ ლეგენდაზე.

და სპილოჯს ძვლით მორთულ სავარძელში გადაესვენა.

ორი სხვა-და-სხვა, ერთი-ერთმანეთზე ცა და დედამიწასავით დაშორებული სულის კვეთება გამოკრთოდა ცოლ-ქმრის სახეზე: პილატეს ძულდა, ეზიზღებოდა იერუსალიმი, მისი მცხოვრებლები, მთელი ურიასტანი, ეს, მისი აზრით, უცნაური ხალხის უცნაური სამშობლო, თვისის ოღრო-ჩოღრო მდებარეობით, აღმოსავლეთის ცხარე მზით, ალაგ-ალაგ მტვრიან და ქვიშნარ მინდვრებით! იგი ამ ჟამათ ოცნებით გადაფრენილიყო ტურფა იტალიაში, დიდებულ რომში.

— შვენიერო რომო, რაზე მოგშორდი, რა მინდოდა აქ, ამ უკმეხთა ქვეყანაშიო? დაეკითხა პილატე თავის თავს, როდესაც ქუჩიდან შემოჭრილმა ხალხის ჟრიამულმა ოცნება გააწყვეტინა და გახურებული შუბლის გასაგრილებლათ ისევ ფანჯარასთან გადადგა.

— სიმდიდრე და დიდება! აი, რა მიტაცებდა აქეთ, აი, რა მინდოდა, მაგრამ.... პილატემ უიმედოთ ხელი მაიქნია. ბრბოს მღელვარებით გამოწვეულმა შავმა ფიქრებმა და რაღაცა ცუდის წინაგრძნობამ ელვასავით გაუარა გულში პილატეს და ცოლს შეხედა: უნდოდა საბინასთვისაც გაეზიარებინა გულის ვარამი, უნდოდა ეთქვა, რომ ეს აზღვავებული ბრბო შეურაცყოფა-უბედურების მეტს არას მოგვცემსო, მაგრამ ცოლის ღრმათ დაფიქრებულმა სახემ ისევ შეაფერხა.

ვით განხორციელებული სევდა, ვით მარმარილოსაგან გამოქანდაკებული შვენიერება-სიკეკლუცე, ვით ქვეყნათ ჩამოსული ეჭვი და სიყვარული, უკმეხათ მოპირქუშებულიყო შვენიერი საბინა და თვალებათ გადაქცეული მისჩერებოდა ტაძრის გზას, სადაც აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. გულ-მკერდი ზღვასავით უღელავდა და ვნებათა-ღელვის გამომეტყველი თვალები ცრემლით ევსებოდა.

— ყოვლად შემძლებელო ღმერთებო! ნეტა კიდევ ვნახავ სადმე? უეცრივ წამოიძახა საბინამ და მღელვარე მკერდზე ხელი მოიჭირა.

— ვისა? დაეკითხა ლაპარაკ-მოწყურებული პილატე.

— ვისა? ვისა?—ჯერ რომ მეც არ ვიცი ვისა! გაფანტვით, ყრუთ უპასუხა საბინამ და ბრბოს ჩააშტერდა.

— ნეტა, რა დაგემართა ამ ბოლოს დროს? გაუბედავათ დაეკითხა პილატე საბინას, მაგრამ პასუხი რომ არ მიიღო, კოპები შეიკრა.

საბინას კი ნელ-ნელა ღიმილი შეეპარა. მარჯვნის ბაგენი ოდნავ გაეპო და ბროლის სახეზე სიხარულის ალმურმა გადაჰკრა. მას მოეჩვენა, ვითომც შუა ბრბოში გაჩერებულიყო ღვთაებრივი შეხედულობის ჭაბუკი. წაბლის ფერი გრძელი თმა მხრებზე გადაჰფენოდა, მარჯვენა ხელი გულზე დაედვა, მარცხენათი გვერდზე მოგდებული ლურჯი წამოსასხამი მოებოჭა და სიცოცხლით სავსე თვალები ცისკენ მიეპყრო: იგი ლოცულობდა ხალხთა მორჯულება-განადამიანების შესახებ. სევდა და მწუხარება გადაჰფენოდა სახეზე, ფერი ჰკრთომოდა და მთლათ სათნოება-სიყვარულათ გადაქცეული, ზეციურ არსებას დამსგავსებოდა.

— პილატე, ის არის! ხედავ, შუა ბრბოში რომ გაჩერებულა. სწორეთ განხორციელებული ღვთაებაა! მომგვარეთ, მომგვარეთ აქა!.. გიჟივით წამოიძახა საბინამ და პილატეს მივარდა.

— სად, ვინ არის, ადამიანო, ჩვენ წინ, საზიზღარი ბრბოს მეტი არავინ ჩანს! დამშვიდდი, დამშვიდდი! ეუბნებოდა პილატე და მონებს უბძანა სუნნელოვანი საბკურებელი მოერთმიათ. პილატე არა ტყუოდა. ყველაფერი საბინას ოცნების ბრალი იყო!

## II.

მზემ უფრო გადიხარა. უკანასკნელი სხივები შეათამაშა ტაძრის გუმბათზე, ერთი კიდევ ააპრიალა მთელი ქალაქი და მედიდურათ გადაგორდა მთას იქით. ტაძრის წინ მდგარი ებრაელები ახმაურდენ, ამოძრავდენ და ღელვა დაიწყეს—ტაძარში მიეშურებოდენ სალოცავათ. ბოგანო, ჟამთავითარებისაგან გათახსირებული და გავერანებული ბრბო, ძლევა მოსილება და თვით-მმართველობა დაკარგული ხალხი ურიასტანისა—ღვთაებრივი ცეცხლის გულში აღსაგზნებათ ერთმანეთს ეზიდებოდა. ამ ბრბოსაც ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე, მწვავე გრძნობა უღელვებდა გულს: ერთი მხრით, მათ აფრთოვანებდა ტაძარი იერუსალიმისა, რომელიც დღეს მათი თავ-შესაფარი გამხდარიყო და მეორე მხრით, გულს ულადრავდა კოშკი ანტონიუსისა—სასახლე პონტიუს პილატესი, ეს თვალსაჩინო მოწმე მათი დაქვეითებისა, მათი დამონებისა! ზიზღით შეცქეროდა ბრბო ამ კოშკს და თან შიში და ძრწოლა უავგუსტოესის კეისრისა და მისი წარმომადგენელის პილატეს წინაშე ენას უგდებდა. ხედავდა ხალხი თვის დამცირება-დატყვევებას და ეს თვალთა-ხედვა აგდებდა მათ იმ საიდუმლოებაში, რომელიც ძლევა-მოსილ რომაელთათვის გაუვებარი იყო... თავისუფლება დაკარგული, ძალმომრეობის კალაპოტში ჩაყენებული ხალხი მკვდარია ძლევა-მოსილების, მის დამმონავებელის თვალში, რადგანაც დღეს გამარჯვებულთ, ასე ჰგონიათ, რომ მათ ძლიერებას ხელს ველარავინ შეახებს

მაგრამ დაჩაგრული ერის აზრზე მოსული თვითცნობიერება ნელ-ნელა ძალღონეს იკრებს, ნელ-ნელა იზრდება და, თუ დრო იხელთა, ისევე ააფრიალებს ხოლმე თავისუფლების დროშას, თუ არა და იძულებს, ზიზღით მაინც უყურებს თვის დამმონავებელს და იმედით აღფრთოვანებული უკეთეს მომავალს უცდის... ებრაელებსაც ძულდათ რომაელები, რადგანაც ხედავდენ, რომ მონანი იყვენ კეისრისა, ჰგრძნობდენ რომ შეწყდა დავითის ქნარი, მათი დიდება სოლომონი შავ-მიწას ამოეფარა, ურიასტანის ჭირის უფალნი, წინასწარმეტყველნი აღარ ლალადებდენ, თითქმის თვით იეგოვამაც (ღმერთმა) პირი იბრუნა თავის რჩეულთაგან, ხედავდა ყველა ამას ებრაელი, მაგრამ გული კი არ ემორჩილებოდა. არა! იეგოვა პირს არ იბრუნებს ებრაელთაგან, იგი არ გასწირავს ამდენი ხნის ამაგს, ურიასტანი კვლავ აჰყვავდება და, ვაი, მაშინ ურწმუნოთ, ვაი, მაშინ რომაელებს, ვაი, მაშინ მთელი ქვეყნის ბოროტებას!... ასე ჰფიქრობდა თითოეული ებრაელი, მაგრამ ეს წინასწარობა ყველას გულში ჰქონდა ჩამალული, რომაელებს არ აგებინებდენ და ისე იქცეოდენ, როგორც მხდალი ზედამრჩო, რომელიც მოხერხებულ დროს უცდის სისხლის აღებისათვის. თეთრი კბილი და შავი გული! ასეთი იყო საზოგადოთ ებრაელების გულ ისთქმა.

მუდმივმა კენკე-მალულობამ, ათასგვარმა შევიწროება-დაბრიყვებამ, რომაელთა ძალ-მომრეობამ, ერის წმინდათა-წმინდათაღმი მათმა ხელის პოტინმა გარყვნა და გაბინძურა მთელი ურიასტანი. მაგრამ მაინც რწამდათ თავისი მომავალი და ამ რწმენას სრული თავისუფლებით გამოთქვამდენ ხოლმე თავიანთ სამლოცველოში, იმ ტაძარში, სადაც არა ებრაელთ, თუნდა იგი ბრძანებული რომაელიც ყოფილიყო, კანონით უფლება არა ჰქონდა შიგ შესვლისა. აქ ამ ტაძარში იოხებდენ გულის ვარამს, აქ, ამ ტაძარში დასტიროდენ დაკარგულ ბედნიერებას, აქ ამავე ტაძარში გამოთქვამდენ იმ გამამხნევებელ იმედს, რომ იეგოვა მხოლოთ სცდის ებრაელთ და მალე ძრიელ მალე კვლავ აჰყვავდება გათახსირებული ურიასტანიო! რაღა საკვირველია, რომ ტაძრიდან გამოსული ებრაელი სამკეცი ზიზღით შეხედავდა ანტონიუსის კოშკს და გულზე ბოღმა მორეული სულით და გულით მოინდომებდა რომაელთა განდევნას. მაგრამ... დრო გადიოდა... მოთქმა-გოდებით ურიასტანს არა ემატებოდარა, პირიქით უფრო სუსტდებოდა, შური და მტრობა ფეხს იდგამდა მოძმეთა შორის, განხეთქილება და დაუნდობლობა არსდებოდა ურიასტანში!..

ბრბოს ცნობიერებაში მომყვანი, მისი ამამაღლებელი მოწინავე დასია, სამმობლოს დამცველი მსწავლულთა და შესმენილთა გუნდია, ის ჯგუფი რჩეულთა, რომელიც გულში ანდამატათ უნდა ატარებდეს ხალხის სიყვარულს, სამშობლოში თავისუფლებისა და თანასწორობის აღორძინებას. მაგრამ, ვაი, რომ ურიასტანის მწიგნობართა და ფარისეველთა დიდიხანია დაუტევეს ხალხისთვის ზრუნვა და ნილაბჩამოფარებულნი ყოველსავე ბოროტებისა და გარყვნილების ბუდეთ შეიქმნენ, მათ ხელში ჰქონდათ ძრიელი იარაღი — ნება რჯულის ახსნისა, მოსეს ნაწერის განმარტებისა და როგორც უნდოდათ და მათთვის სასარგებლო იყო, ისე ატრიალებდენ უვიცი ხალხის ბედ-იღბალს... გარეგნობამ შთანთქა იგინი და ანგარებამ გადაჰყლაპა!..

ბაკო.

(შემდეგი იქნება).

## ხ ა ნ - დ ა - ხ ა ნ.

(ცხრა მთას იქით მოგზაურობა).

დასასრული *)

ჩვენს დროში რაღა საკვირველია, რომ ბახმაროსთანა ადგილებში ხალხი დადიოდეს საზაფხულოთ. ბახმაროში თუნდა სამკურნალო წყლები არაა, მარა ეს ყველასთვის მიუცილებელ საჭიროებას ხომ არ შეადგენს. თუნდა სხვა ღირსებაც არა ჰქონდეს რა ბახმაროს, განა მარტო ის არაა საკმარისი, რომ მოდის ძალით და კანონით წავიდენ ხოლმე იქ საჰაიეროთ? მოდის ძალას ცოტა რამ შეუძლია თუ? სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის რამდენათ ღირს, რომ დიდ კაცების პატარა გოგონებს მოდურ ფერზე ზრდიან!.. ოჰ, რა არის ეს მოდა!.. სოფლელ ჩატეტკილ-ჩანაცრისფერებულ მანდილოსნებს ავარვალ-ავარდისფერებს ხოლმე ფერუმარილ-ფეშტამლის მეოხებით!.. ქალაქებში და მაღალ წრეებში კი, პირიქით, ატეტკ-ანაცრისფერებს საბრალო მოვარდ-მოვარევალე გოგონებს!.. უცნაურია მოდა!.. ძველი არ რწამს, ახალს იგონებს, მარა ისევე ის ძველი გამოაქვს ხოლმე ახლათ, სხვა-და-სხვა ფერათ და სხვა-და-სხვა რიგათ შეკრაჭულ-შემოკრაჭული, შელამაზ-შემოლამაზებული!.. მოდა წინ სვლაც არის და უკანაც ანუ, მოდურათ რომ ვთქვათ, პროგრესიც და რეგრესიც; ის კარგიც არის და ცუდიც, სასარგებლოც და უსარგებლოც!.. მხოლოთ ერთი საზოგადო თვისება კი აქვს მოდას: მისი მიმდევარი განათლების გზაზე გამოსული, მარა ჯერ კიდევ შე

*) იხ. „კვალი“ № 37.

გნებული არ აქვს მისი ძირითადი კანონები და წვრილმალ რამეებს ჰკიდებს ხოლმე ხელს.

ამ ხუთი-ექვსი წლის წინეთ ბახმაროს სახელი მხოლოთ მეჯოგეებმა იცოდენ და მარტო ისინი იყვნენ მისი მოაგარაკენი. მაშინ მხოლოთ გორაკ-ფერდობებზე მოდებული პირუტყვნი ამშვენებდენ ბახმაროს მიდამოს და მათი ბღავილ-ჭიხვინ-პეტელი არღვევდა ხოლმე იქ გამეფებულ სიჩუმე-მყუდროებას. სხვაგან ასეთ ადგილებზე სალამურის ხმაც დაჰკვნეს-დაწკრიალდარაკრაკებს ხოლმე არე-მარეს, მარა აქაურ მწყემსებს არ აქვთ ეს ნაზ-გრძნობიანი საკრავი. სამაგიეროთ, ზოგჯერ სალამურისებურს, დამაფიქრებელ, ნაღვლიან მეგრულ სიმღერას ამოჰკიდებს აქაური მწყემსი—მეგრელი. ამას მიუმატეთ ღამ-ღამობით ქოფაკების ყეფა, დათვის ღუნღულ-ბურდღულის დ მგლების ყმუილის გაგონებაზე, მწყემსის ზედ გაყოლებული უკუ „ოოუუუ", ბახვის წყლის ჩვეულებრივი ჩხრიალ-ხრიალი და დაგისურათდებათ ყოფილი ბახმარო.

რაღა არის აწინდელი ბახმარო? ისევ ის რაც იყო და კიდევ ის, რაც ახლა არის. მეჯოგეების კარვების მაგიერათ საგარაკო ოდებით მოჭადრულ-გაშენებულა მთელი გორაკი. გაშენებულა მარა როგორ? ჩვენებურათ, უგეგმოთ და უწეს-რიგოთ! სოკოებსავით არეულ-დარეულია პირ წყლმა-უკუღმაებული სახლები და მათ შორის უსუფთაო ფეხის ადგილები!..

აგარაკი იყოფა ორ უბნათ. ერთი წარმოადგენს ნაძვნარით შემოფარგლულ და დაჩრდილულ შენებას, მეორე კი ტიალ დაფენებას. საცხოვრებლათ უკანასკნელი ჯობია, რადგან მას მზე დაუბრკოლებლათ დაცქერს და სისუსტე-სინოტივეს სპობს.

ბახმარო რომ ევროპაში ყოფილიყო, იმდენათვე პატივცემული იქნებოდა ადამიანისგანაც, რამდენათაც ბუნებას უცია მისთვის პატივი. იქ, ევროპაში, ადამიანი გაეჯიბრებოდა ხოლმე ბუნებას და ეცდებოდა თავის მხრითაც ჰიმატებია რამ მისი სილამაზე-სიკეკლუცისათვის!.. მთელი მიდამო გაშენებული იქნებოდა ლამაზ-კოპწია საგარაკო სახლებით. სახლებით, რომელთა გარეგნობა და სიმეტრიულობა დამაამებელ-დამამშვიდებელ ზეგავლენას მოახდენდა კაცზე! სწრაფათ გაშენდებოდა ჰეივნები, ყვავილნარები, სამუსაიფოები („ბესედკები"), საგარაკო თეატრები და სხვა დ სხვა. იქ ბუნების ძლიერებასთან ერთად წინ წარმოკიდგებოდათ ადამიანის ძლიერებაც!.. აქ, ჩვენს ბახმაროში-კი, ცხადათ ხედავთ ბუნების სიდიადეს და ადამიანის სიძლიერე-არარაობას!.. მერე ჩვენში ეს რა გასაკვირველია!?..

რა ვუყოთ, რომ ბახმაროს გაევროპიელება არ ღირსებია!.. რაკ არის, მითაც კმაყოფილი უნდა დარჩეს. მართალია მას არც გზა აქვს და არც კვალი, მარა მოაგარაკეებით კი მაინც გავსებულია!.. სამოცი საგარაკო სახლი წელს იტევდა 700—1000 მოჰაერეებს! ათასი მოჰაერე!.. ეს ხუმრობა საქმე ნუ გგონიათ ბახმაროსთვის! სხვა ასეთ ადგილებში თუ ათი და ოცი ათასი სული იყრის თავს, ათი და ოცი ათასი სხვა-და-სხვა ადგილებიდანაც გროვდებიან ისინი. აქ კი, ბახმაროში, რაც არის—სულ აქაურივე მკვიდრნი--გურულები არიან!.. სახლიდანვე მიაქვთ ფქვილი, ღვინო, ღომი, თან მიჰყავთ მეწველე ძროხები და ამით ცხოვრებას იიოლებენ. ყოველივე ეს და კიდევ სხვა რამეებიც ბახმაროშიაც მოიპოვება დუქნებში გასაყიდი, მარა ძალიან ძვირია და უმეტესობისათვის არა ხელ-საყრელი. დიახ, მიდიან გურულები თავისი ხაბაკ-ხუბაკ-ბარგ-ბარხანიანა, მარა, ვაი, ამისთანა გზით სიარულს!..

ბახმაროს გზა? ნუღარ იკითხავთ, ნუ გამახსენებთ, ღმერთი თუ გწამთ!.. მართალია, უარესიც შეიძლება წარმოიდგინოთ და ცხადათაც ნახოთ, მარა ეს ხომ სასურველი მოვლენა არაა. თვით ეგევე გზა ყოფილა ამაზე უარესი, რაც ახლა არის, ამ ხუთი-ექვსი წლის წინეთ!.. მაშინ არც არავინ დადიოდა ბახმაროში, გარდა მეჯოგეებისა. შემდეგ ცოტა შეუკეთებიათ ეს გზა სოფლელებს ადგილობრივი მთავრობის განკარგულებით. შეუკეთებიათ, მარა ან ეს შეკეთებული რა არის? ბევრ ადგილას ისეთი ვიწრო და ღარებიანი გზა შეგხვდებათ, რომ არა თუ ცხენი ცხენს, კაციც კი ვერ შეუვლის კაცს გაუჭირვებლათ! ასეთ ადგილებს ეძახიან „ღარებს", რომელთა რიცხვი 9—10 იქნება, ზოგან კარგა მოგრძო და ზოგან კი მოკლე. პატარა წვიმის დროს საშინელი ტლაპო დგება ამ ღარებში, რაც, რასაკვირველია, აორ-სამკეცებს მოგზაურობის სიძნელეს. დიდ ავდარში, ღლოფო-თქროშის დროს ისეთი ნიაღვარი მოვარდება ამ ღარებში, რომ მგზავრს უსათუოთ იმსხვერპლებს, თუ კი მოასწრო. ღარებსაკ რომ დავანებოთ თავი და მოვახსენოთ მხოლოთ ის საშინელი აღმართ-დაღმართები, აკიბულ-ჩაკიბულები, სიპები და სხვა, ესეც საკმარისი იქნება ამ გზით მოგზაურობის სიძნელის წარმოსადგენათ. ჩინებული მხედარი უნდა იყოს კაცი, რომ ჩამოუხტომლათ აჰყვეს-ჩამოჰყვეს ამ გზაზე ცხენს. ცხენოსანი მანდილოსნები ხომ უშათიროთ (ცხენოსანი ქალის ქვეითი მალემბელი, რომელიც შველის ხოლმე სადაც და რაზედაც საჭირო იქნება) ვერ იმგზავრებენ.

ხეირიანი გზა რომ ჰქონდეს ბახმაროს, მაშინ შორეული ქალაქებიდანაც, კი ეწვეოდენ მას მოაგარაკეები. მარა გზა მარტო მოაგარაკეებისათვისაც არაა საჭირო, იმას კიდევ სხვა მნიშვნელობაც აქვს. ბახმაროს გზა არის ერთად ერთი, გურიასა და აჭარის

შემაერთებელი, მოკლე გზა. აჭარლები ხომ ახლაც, ამ ცუდი გზითაც გადმოდიან გურიაში და გადმოაქვთ გასაყიდათ ოზურგეთში ერბო-ყველი და სხვა თავისი ნაწარმოები. ვინ არ იცის, რომ საჭიროა იმათი, ამ დროთა ვითარების გამო გაშორებული ჩვენი თანამოძმეების, ისევ დაბრუნება, შეთვისება და შესისხლხორცება. ვინ არ იცის, რომ საჭიროა მათში მოქალაქობრივი ცხოვრების შეტანა, ალებ-მიცემობის და მრეწველობის გავრცელება, სწავლა-მეცნიერების ჩაშუქება და სხვა. და ამას კი ხელს შეუწყობს ბახმაროს გზის გაკეთება. ბახმაროს იქით აჭარამდის სულ 16—17 ვერსის მეტი არ იქნება და გზაც უფრო ადვილი საკეთებელია. საზოგადოთ დიდი არაფერი უნდა ამ გზას, თუ კი ვინმე გულ შემატკივარი ამოუჩნდებოდეს.

ვისი ხარჯით და მუშაობით უნდა გაკეთდეს ბახმაროს გზა? სასოფლო გზებს საზოგადოთ სოფლელებს აკეთებინებენ, მარა ეს ხომ სასოფლო გზა არაა. საგარაკოთ უფრო თავად-აზნაურობა და შეძლებული ხალხი ძიდის, მთა ხაზინას ეკუთვნის და ბაჟსაც იღებს; ამას გარდა, გზას საზოგადო სახელმწიფო და ომიანობის დროს სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს. რაღა თქმა უნდა, ამისთანა გზები ხაზინის ხარჯით უნდა გაკეთდეს და არა სოფლელებისა. ხალხს სხვა ბევრი პირ-და-პირი მოთხოვნილებაც ვერ დაუკმაყოფილებია, სხვა სამუშაო და ბეგარა-გადასახადს ვერ გაწვდენია, თვარა აქაც მისი შეწუხება ხომ გულში გასავლებიც არაა.

როგორ ატარებენ დროს ბახმაროს მოაგარაკენი? ისე, როგორც საგარაკო ცხოვრების წეს-რიგი მოითხოვს. ყველა ნაზობს, თავს ისუსტ-იკატუნებს (ნამეტნავათ ქალები), ვითომდა ავათმყოფია... სუსტი და ღონე მიხდილი, მოგეხსენებათ, ერიდება ფიქრს, მუშაობას. ან კი რა საჭიროა აქ ეს? ბარათ საქვეყნო საქმეებზე გადაყოლილს, ნუ თუ აქაც აღარ უნდა ჰქონდეს მოსვენება?! „თავის შექცევა, გულის გადაყოლება“—აი, მოჰაერეთა ცხოვრების პროგრამმა. სვამენ, ჭამენ... გორავენ, კოტრიალობენ, მასლაათობენ, ოხუნჯობენ და ამით ითენ-ილამებენ. ზოგიერთები კიდევ, ჭკუა-გონების საწრთვნელ-სავარჯიშოთ, წაინარდ-ჭადრაკ-ქაღალდებენ ხოლმე!.. აგებენ და იგებენ კაცები ფულს.. აგებენ და იგებენ ქალებიც... რას?—ფულს? ფულსაც და გულსაც!.. გულის მოგებას უფრო მოდის ქალები ეტრფიან. დიახ, მოდის ქალები, რომლებიც სხვების წაბაძვით მოდიან საჰაეროთ!.. ერთ ავათმყოფს ორი-სამი კარგათ მყოფი აედევნება ხოლმე!.. მოდი და ნუ წაიყვან, როცა ასე აუჭირდება ცოლი ქმარს:

— ქი არ გიჩივოდი, სირცხვილს ვჭამთ, ალაიაში გვეიართ-მეთქინ!.. დროზე ყური არ გააპარტყუნე და ახლა რაღაი!.. იი „წიპუტაი“ (მეზობლის ქალს ასახელებს) უნდა წევიდეს და მე ქე უნდა მევიხარჩო აქანაი ამ სიცხეში!!.. ვოოი, დეიქცა და დეიმხო იგი დღეი, მე რომ შენ წამოგყევი!..

ამის გამგონე საბრალო, გულ გახეთქილი ქმარი დატრიალდება და გააჩენს ფულს: გაჰყიდის იაფობის დროს სიმინდს, ან ერთ ნაკვეთ ადგილს და ან უზომო სარგებლით სესხათ აიღებს ფულს... ამ საშუალებით წაიყვანს თავის მეტიჩარა ცოლს და დააბრძანებს ბახმაროში!.. აქ ეს ქალბატონი კოხტაობს, კოპწიაობს და ჭორებს თხზავს.. მეჭორეს აბა უგაზეთოდ რა გააძლებიებს? თვითონ სად შეუძლია ყველაფრის შეთხზვა, თუ გაზეთშიაც არ ამოიკითხა!.. ჩვენი ქალბატონიც შოულობს გაზეთებს და კითხულობს, მაგრამ თავ-უკუღმა!.. ესეც მოდაა!..

ჭალარა.

## ცულლუზა და მისი წერილი.

ბ-ნ ცულლუზა თავის წერილში აძაგებს ჯვარცხმის სკოლის შენობას. მართალია სკოლის შენობაში ცოტა წვიმა ჩამოდის, მაგრამ რა ვუყოთ. დიდი საქმე მომხდარა, თუ ამ სივართე სახურავზე ორიოდე ფრთა ყავარი მკვიდრათ არ დარჩა დაჭედილი? ამისთანა შემთხვევები (წყლის ჩამოსვლა სახურავიდან) არამც თუ სოფლის სკოლებში, საშუალო სასწავლებლებშიაც მინახავს და გამიგონია. რაც შეეხება კედლებს, არამც თუ ახლა, არც ოც წლამდის ფიქრობს დარღვევას.

ბევრი სტუმარი გვწვევია, როგორც გურიიდან, ისე სხვა მხარეებიდან, მაგრამ წუნი არავის უთქვამს, თუმცა მთელი შენობა დაწვრილებით გაუშინჯავთ. პირ-იქით ამბობდენ, ამისთანა სკოლის მნახველი სოფელში არა ვართო.

რაც შეეხება ბ-ნ ცულლუზას მიერ გმობილ მეთოდს, უნდა მოგახსენოთ, დიდათ არც მე მეპრიანება, მარამ იმედია, იგი მალე ამოიკვეთს ფეხს სკოლიდან. ბ-ნი ცულლუზა ბძანებს: სკოლის შენობა დაუჯდა საზოგადოებას 2500 მანეთიო, ესეც არ არის მართალი; სკოლის შენობა დაჯდა 1400 მანეთათ, რაც ძლიერ იაფათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ შენობაში მოჰყვა კეკლუცათ მორთული ორი სრული ზალა, ერთი გძელი დერეფანი, ოთხი სრული სამასწავლებლო ოთახი და სხვ. ამ შენობის აგებაში მოიჯარადრეებმა კიდეც წააგეს 300—400 მანეთამდის და მამასახლისს არამც თუ ჯიბეში ჩაუჩხრიალეს, პირ-იქით მასა და საზოგადოებას თხოვდენ: „წავაგეთ ამის კეთებაში, იწამეთ ღმერთი, შეგვიბრალეთ და ცოტა რამე მაინც მოგვიმატეთ დაპირებაზეო“. ვინ გასცა ხმა?! *)

ს. წაქაძე.

*) ამავე საგანზე მოგვივიდა ჯვარცხმის მამასახლისის თავის გასამართლებელი პასუხი და აზ. ნოე [illegible]ხანის ძე ჟღენტიც ესარჩლება მთელ თავის გვარეულობას, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო, სტატიები გაზეთში არ დაისტამბება.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.